ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

52 სხდომა.

შაბათი, ოქტომბრის 26, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

მდივნობის პარლამენტის მდივნის ამხანაგი **იოსებ აბაკელია.**

პრეზიდიუმშია პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **იესე ბარათაშვილი.**

არა ჩვეულებრივი კრება იწყება საათის 8 ს. და 15 წუთზე.

თავმჯდომარე. საგანგებო კრება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა გახსნილი გაიხადა. ეს საგანგებო კრება მოწვეული არის იმისათვის, რომ მოისმინოს მთავრობის მოხსენება საგარეო საქმეს შესახებ.

სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის სიტყვა.

მოქალაქენო! მთავრობის დავალებით იმ სამწუხარო კონფლიქტის შესახებ, რომელსაც ჩვენს და სომხეთის რესპუბლიკის შორის აქვს ადგილი, მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ 18 ოქტომბერს მოსაზღვრე ხიდიდან ვიდრე კობერამდე ტერიტორია დაკავებულ იქნა სომხეთის ნაწილების მიერ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ დაკავება ამ ტერიტორიის მოხდა საქართველოს მთავრობის შეუტყობინებლად. პირიქით, ჩვენ გვაქვს სამუდამო აშკარად განვაცხადოთ აქ, რომ სომხეთის ჯარების მიერ ამ იდგილების დაკავება მოხდა ზეგავლენით ინგლისის მთავრობასთან.

ასეთი იყო განცხადება, ყოველ შემთხვევაში, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის **ჯამალიანისა** ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან.

თვენენოვის გასაგები იქნება ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია მთავრობის წრეებში ასეთმა ნაბიჯმა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვიყვნით, რომ იმ შემთხვევაში, როცა მოსაზღვრე სახელმწიფო გადალახავს ნაბიჯს, რომელიც რამოდენიმედ მაინც ეხება ჩვენს ინტერესებს, ყოველი ასეთი ნაბიჯი უნდა მომზადებიყო, ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენს წინასწარ შეთანხმებით არა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გაზიარებით.

ეინაიდან არც ეოთი და არც მეორე პირობა ამ შემთხვევაში დაცული არ იყო, და მეორედ ეინაიდან, თანახმად მთავრობის საერთო დასკვნისა, რომ ტფილისს გუბერნია ჩვენი უდავო ტერიტორია არის, მთავრობამ საჭიროდ დაინახა მიემართა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელისათვის განსაკუთრებულ ნოტით, სადაც ატყობინებს რა ამ სამწუხარო მოვლენას, დასძენს: „სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველის მთავრობას, რომელიც მუდამ ზზად არ ის მშვიდობიანათ, ურთიერთ შორის შეთანხმებით გადასჭრას საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სანამ ასეთი შეთანხმებას ადგილი არა აქვს, სომხეთის ჯარების შეჭრა ტფილისის გუბერნიის საზღვრებში ჩაოდენ ლ ბ ა გადაჭრილ მტრულ ნაბიჯათ სომხეთისა საქართველოს მიმართ".

ამ ნოტაზე ჩვენ მივიღეთ პასუხი, სადაც ნათქვამი იყო, რომ დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთისა მას დიუკოვნენ ლ ბ ა გადასცეს თავის მთავრობას და აგრეთვე ის გამოსთქვამს მტკიცე სურვილსა და იმედს, რომ მოდმავი ლტ ლ ბ ა ამ ორ მთავრობისა: შეინარჩუნონ და განამტკიცონ კეთილმეგობრული ურთიერთობა, საუკეთესო თავდები, რომ კითხვა იქნება დაჩქარებით და მშვიდობიანად გადაჭრილი.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო აქ, რომ დღემდის სომხეთის რესპუბლიკისაგან, მათ წარმომადგენლისაგან, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი ნაბიჯი ამ მხრივ ჯერ-ჯერობით გადადგმული არ არის.

როცა ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ სომხეთის ჯარებმა გადმოლახეს არა თუ ტფილისის გუბერნიის საზღვრები, არაერად შერდგ მათ დაიკავეს ისეთი ნაწ ლ ბ ი, რომლებიც წინად დაკავებული იყო ჩვენი ჯარის მიერ, მთავრობამ საჭიროდ დაინახა გაეგზავნა განსაკუთრებული საძიებელი ძალა, მისთვის მიენდო რიგი დაეცალა ეს ტერიტორია და, თუ საჭიროდ დაინახავდა, ბ ე ლ ი ნ საჭირო ზომები.

ჯავშნიან მატარებლის უფროსმა გოგუაძემ, მიახწია რა კობერთან, მიმართა წინადადებით: დაუყოვნებლივ დ ა ც ლ ლ ი ქმნ ნ ეს სადგური. ეს ის სადგური არის, რომელიც ძეს ჩვენ წინ ნ ლ ლ ეს ხაზის აქეთ.

ეს ულტიმატუმი სომხის ჯარმა შეარულა და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, ამ ხანად ასე თუ ისე მშვიდობიან კალამპტში ჩავარდებოდა. და ურთიერთობამ შედარებით ისეთი ნორმალური ხასიათი მიიღო, რომელიც საბუთს გვაძლევდა გვეფიქრნა, რომ ჩვენ შეგვეძლო მშვ ლ დობიანად დავაბოლოვოთ ეს საბნუბარო კონფლიქტი.

ასეთს ჩვენს იმედს კიდევ უფრო მეტი საფუძველი მიეცა მას შემდეგ, რაც ჩვენ 22 ოქტომბერს მივიღეთ ერევნის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის დეპეშა, სადაც ის აღიარებს, რომ მთავრობა თანახმაა მშვიდობიანის გზით გადასჭრას კონფლიქტი და ჩვენ წინადადებას გვაძლევს გაეჩერდეთ ამ ხაზზე, რომელიც წინად დაკავებული იყო საქართველოს ჯარების მიერ და არ მოგვეთხოვნა დაცლა ამ ადგილებისა, რომელიც წინად დაქერილი იყო ოსმალების მიერ და ახლა კი დაიკავეს სომხეთის ჯარებმა.

ასეთი დეპეშის საპასუხოდ მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ, სამხედრო მინისტრმა აცნობა ერევნის მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მან უკვე უბრძანა სანაინის რაზმის უფროსს სამხედრო მოქმედება არ გაეჩაღოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სომხის ჯარი შეეცდება წინ წამოწ ვ ვ ს. მიიღოს შესაფერი ზომ ე ბ ი. ყოველ შემთხვევაში, 19 ოქტომბრის ნოტა ნათლად გამოსთქვამდა ჩვენს საერთო აზრს. სამხედრო მინისტრის დეპეშაში ნათლად იყო ნაათქვამი, რომ მთავრობა განაცხადებს, რომ ის მზად არის მშვიდობიანის გზით გადაჭრილ იქმნას საკითხი საზღვრების შესახებ და ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ წინადადების პრაქტიკულ განხორციელებას.

მიი უმ ტ ს მოულოდნელი იყო შემდეგი ცნობა, რომელიც მთავრობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ოქტომბერს მიიღო. ამ ცნობის თანახმათ სომხის ჯარის ნაწილებმა მოიგეხოვეს დაუყოვნებლივ დაცლა **კორინჯი-ცატერინის** ხაზისა, რომელიც მდებარეობს უკვე იმ ტერიტორიაზე, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში დაკავებული იყო საქართველოს ჯარების მიერ.

ამავე დროს, მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ იმ ცნობის თანახმად, რომელიც მთავრობას აქვს, დაიწყო მძღლვარება სანაინის რაიონში და შულავერის რაიონში.

ამიტომაც მთავრობამ საჭიროდ დაინახა განსაკუთრებული ახალი ნოტით მიემართნა ერიევნის მთავრობისათვის, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ თანახმად თქვენის თხოვნისა სამხედრო მინისტრმა უბრძანა საქართველოს ჯარებს გაჩერებულიყვნენ იმ ხაზზე, რომელიც მათ ეკავათ, ვიდრე ოსმალების სამხედრო ძალების ბორჩალოს მაზრიდან გასვლამდის, ე. ი. კორინჯი ცატერინის და მდინარე კამენკის ხაზზე, და ეცადნათ მშვიდობიან შეთანხმებით საზღვრების შესახებ მშვიდობიანად კითხვის გადაჭრისათვის. მაგრამ სომხების ჯარები განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას საქართველოს წინააღღმდეგ, რომლის საბუთი არის ის, რომ მთავრობამ ეს ეს არის მიიღო მოხსენება, რომ სომხების ჯარებმა მოითხოვეს დაცლა კორინჯისა და ამის შემდეგ კიდეეც აიძულეს ეგრმანელთა პოსტები, რომელიც იქ იყო, დაეცალათ ეს სადგური. უნდა მოგახსენოთ, რომ ის ეცარე რაზმები, რომელიც ეგრმანელებს ჰყავდათ გაგზავნილი, ემორჩილებოდნენ და ემორჩილებიან საქართველოს მთავრობას. ამიტომაც, განიხილა რა, შემქმნილი მდგომარეობა საქართველოს მთავრობამ, გაცნობებთ თქვენ, რომ, თუ სომხის ჯარი დაუყოვნებლივ არ დასცლის კორინჯი-ცატერინის ხაზს, ანდა შეიდგეში დაიკავებს რაიმე ტერიტორიას ტფილისის გუბერნიის საზღვრებში საქართველოს მთავრობა ამას ჩასთვლის სამხედრო მოქმედების დასაწყისათ სომხეთის რესპუბლიკის მხრივ და მთელი პასუხისგებლობა ორივე რესპუბლიკის დამლუპველ შედეგისა დაატყდება იმ მთავრობას, რომელმაც ამ შემთხვევაში მთელი ეს კონფლიქტი გამოიწვია.

ასეთი იყო ჩვენი ნოტა, რომელიც გაეგზავნა 23 ოქტომბერს სომხის მთავრობას და რომლის პასუხიც ჯერ-ჯერობით არ მოგვიღია.

მე უნდა მოგახსენო პარლამენტის წევრო, რომ ეს აიხსნება რამდენიმედ, ყოველ შემთხვევაში, იმ გარემოებით, რომ შეუძლებელი ხდება წესიერად დეპეშების გადაცემა ერევანში.

ამის საპასუხო ჩვენ მივიღეთ სომხეთის ადგილობრივ დიპლომატიურ წარმომადგენლისაგან, რომელიც ატყობინებს ჩვენს მთავრობას, რომ ის ცდილობს ეს ცნობა გადასცეს ერევანში სომხის მთავრობას და ამ მხრივ ჩვენ გვთხოვს დახმარებას. გარდა ამისა ის გვთხოვს მიეცეს უფლება, რათა ორი წარმომადგენელი—არზუმანოვი და ზახნაზაროვი—განსაკუთრებულ მატარებლით გაგზავნილ იქნეს ამ რაიონში.

მე უნდა დავსძინო, რომ როცა ჩვენთვის აშკარად გამოირკვა, რომ ის ნაბიჯი, რომელიც გადადგეს სომხეთის ჯარებმა, ეს აგრესიული ნაბიჯი, განსაკუთრებით, როცა მათ მოინდომეს კორინჯი ცატერინის ხაზის დაჭერა,—ეს მოითხოვდა საქართველოს მთავრობისაგან რაიმე გადაჭრილი ნაბიჯს, რომელიც ყველას აცნობებდა, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა მოსურნეა ეს საკითხი მშვიდობიანად გადაჭრას, იმავე დროს მზად არის საჭიროდ თავისი უფლება დაიცვას იმ საშუალებით, რასაც ის შესაფერისად ჩასთვლის ამა თუ იმ მომენტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ მთავრობამ გამოიტანა ასეთი დადგენილება: დაუყონებლივ გაშორებულ ცხადებულ იქნას სანმეხერო წესები ბორჩალოს მაზრაში, აგრეთვე რკინის გზის სამხრეთ ნაწილზე ნავთლუღიდან ვიდრე საზღვრამდე. შეწყვეტილ იქნეს მატარებლის ყოველნაირი მიმოსვლა ამ გზაზე, გარდა სანხედრო მატარებლებისა, რომელნიც დანიშნულ იქნებიან მხოლოდ სამხედრო მინისტრის განკარგულების თანახმად.

და ამავე დროს შეწყვეტილ იქნეს მიცემა ბონებისა, რომელიც უნდა მიეღო სომხეთის მთავრობას ბონებზე განსაკუთრებულ შეთანხმების ძალით.

ასეთი არის მოკლედ ის ზომები, რომელთაც მთავრობამ მიმართა.

მე უნდა განვაცხადო პარლამენტის საყურადღებოდ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ გავიდა ორი დღე, დღეს მესამე დღეა, და ჯერ ჯერობით არ მიგვიღია გადაჭრილი პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც გადაეცა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ოკანასკრლად, 23 ოქტომბერს,—თუმცა მე უნდა განვაცხადო, რომ სომხეთის წარმომადგენელმა მართლაც გაგზავნა განსაკუთრებული დელეგაცია ერევანში და სთხოვა უსათუოდ დროზე პასუხის გაცემა.

გარდა იმ ცნობისა, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, აქედან გაიმგზავრნენ ერევანში პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შეადგენენ სომხურ ეროვნულ საბჭოს საქართველოში, და რომელთა მიზანი არის ყოველ მხრივ ხელი შეიწყოს ამ კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრებას. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ უნდა განვაცხადოთ: მთავრობა დარწმუნებული არის, რომ სწორედ იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნეს ყოველივე გაუგებრობა ტფილისის გუბერნია სავსებით ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს უდავო ტერიტორიად. (მეჩუხრე ტაში)

მე აქ გაკვრით უნდა აღვნიშნო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთი ნაწილი პოლაისა ოლაშენის ჩვენს წინააღმდეგ, მთავრობის წინააღმდეგ, და მოჰყავს საბუთად დემოკრატიული თვითგამორკვევა, რომ მთავრობა, პირიქით, დარწმუნებული არის, რომ სწორედ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი გულისხმობს არა იმას, რომ ამა თუ იმ ტერიტორიას გამოაკლდეს რამდენიმე სოფელი, ან პაწია ნაწილები, სეერთიოდ, რომ მართლაც კითხეა ასი იდგის. მაშინ საკითხი, მაგალითად, ელზას-ლორენის შესახებ, სხვანაირ სახეს მიიღებდა. ბაგრამ დღეს დღეობით, ჩვენ ვიცით, რომ ევროპის დემოკრატია არასოდეს არ ითხოვდა იმას, რომ ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით ეს ელზას-ლორენი რამდენიმე ნაკრად დაჭრილიყოს, არამედ ის მოითხოვდა ამ პროვინციის მთლიანად თვითგამორკვევას. და თუ კი ჩვენს სწორე დემოკრატიულ თვითგამორკვევის პრინციპს დავეყარებით, მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ, როგორც ისტორიული, აგრეთვე დემოკრატიული სამართლიანობის პრინციპი სწორედ იმას მოითხოვს, რომ საკითხი გადაჭრილ იქნეს თანახმად იმ განცხადებისა, რომელსაც ამ მთავრობის სახელით, აღგილი ჰქონდა.

მაგრამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, თავის მოვალეობად სთვლის გადაჭრილი განცხადოს, რომ ჩვენ ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ საკითხი საზღვრების შესახებ გადაჭრილ იქნეს იარაღის საშუალებით (მხურვალე ტაში).

ყოველივე ასეთი ზომა დანამდვილებით მოიტანს მხოლოდ ერთ-ერთ შედეგს: ის გაახარებს იმ მესამეს, რომელიც შესაქერის უთუოდ გულდასმით ერთა შორის ბრძოლის გაჩაღებას, რომ საჭირო დროს მათი დასუსტება იმპერიალისტურ მიზნებისთვის გამოიყენოს.

და ამიტომაც საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თანახმა არის ყველა დავა საზღვრების ნესახებ გადაჭრილ იქმნეს შეთანხმების საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ შემთხვევაში, თუ მართლა ეს ორი მოდავე რესპუბლიკა ვერ შესძლებენ ურთი-ერთ შორის მოლაპარაკებით, საკითხის შეთანხმებით გადაჭრას. ამ შემთხვევაში ჩვენ წინადადებას ვაძლევთ, ყოველივე ასეთი სადავო საკითხი, კერძოდ ყოველივე საკითხი საზღვრების შესახებ გადაჭრილ იქმნეს არბიტრაჟის საშუალებით.

და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს საშუალება, რომელიც არის ერთად-ერთი გამოსავალი გზა ამ მეტად რთულ პირობებიდან, მიღებულ იქნება ორივე მხრიე მთავრობათა მიერ და მით აცილებულ იქნება სისხლის ღვრა, რომელიც სამუდამოდ და სამოლოოდ ნიადაგს მოუმზადებს ერა ჩვენს გაძლიერებას, არამცენ ორთავე რესპუბლიკის დასუსტებას.

ვეყრდნობით ორ ამას, ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ დაბოლოს გაიმარჯვებს გონიერება, და მეოოეს ძმრივ, რადგან არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, ოოთ, ოომ ისინი უსათუოდ ძოაურნენი არიან სისხლის ღვრისა,—ჩვენს წინადადებას ძიიღებენ და ძოგვცემენ საშუალებას ეს საძუოხარო კონფლიქტი მოვიმოროოთ შეთანხმეანი საძეალებით და აციი ძივსცეთ საშუალება წინანდელის ოეგორობები გასეოოს თავიი იდეალეანი განხორციელებისა�(ძქუხარე ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის სამეგდრო ძინისტრს.

სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიოოგაძის სიტყვა.

ძოკალაქეანო! დღიდან ჩვენი არსებობისა, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებაია იკეი აღკიაძეეთ, ოოიკ ჩვენი ოეესაბელიკა აოის ეეიტოილეეოი, ე. ი. ჩვენ აო გკეეოა ძეკიაქოეთ ოოძელიაკ სხკა საიელეოიფოა სახღვრებძი, ჩვენ აო გკეეოა კიაკეოიაოთ ოოძელიაკ ააკა ეოა, ააკოიან ააკკ დიოა ჩვენი სახღვოეანი დაკკა იკეი დაძოეკიდელიაა. და თკკიაეკკლეკა ეთოუკელეოოვილ უდა იკეეი (ძქუხარე ტაში). ამ ოოძღვოეკანთ გვხდკეთ და ვგოდეთ ინ ჯკოოს, ოოძელიკ ღღეს ჩვენ ანღკოკანი ბაააკკკკ გაიგბაკკა (ძქუხარე ტაში).

ამ ჯკოოს უადა ბაიკკკა ჩვენი ანღკოკანი, ამ ჯკოოძა უადა ბაიკკკა საკართველო.

ამ ჯკოოძა უადა ბაიკკკა აგოეთკე ოეკოლოეკკიის ნაკოძკები თავისეუფლეა (ტაში).

ამ ჯკოოძა უადა ბაააკოოა კოკელგკოოა ამაოკეული გამოსვლა, რომელიც ოეკოლოეკიას ეოეეოუა.

ამ ჯკოოძა უადა ძიიღოა საკტიკი ხოოკები სამხედრო კანონების ძალით, ბამბინ, ოოდესაც ჩვენი ტეოიტოოოიი ბიგინთ ოაიიე ხიფთს უმხადებენ ჩვენსოოესპუბლიკა და ჩვენი დამოუკიდებლობას.

ამ ჯკოოძა ხელთ უადა აიღოს ხძალი ბამბინ, ოოდესაც ბაოოჯვნივ და ბაოცხნივ ოეკოლოეიკაოს ძოელს ოაიიე განსაკდელი (ტაში).

ამ, ამ ამ ხაბა ვატაოოკადთ, ამაბე კიდკეთ ამ დღეებში, ოოდესაც სამწუხაოოდ, ეს კონფლიქტი ჩვენს მეიაოოიღებულ ძალთა შორის დაიბადა.

ოოდესაც ჩკენდა მეუკითხავად, ჩკენდა მეუთანხმებლად, ოომლის საბუთი გვაქვს ინ სიტყვეების ძალით, ოოძელიც აოძენიის, სომხეთის წაოძმომადგენელმა განუკხადა გაოეშე საქმეთა მინისტოის ამხანაგა, ოოდესაც ჩვენდა შეუთანხმებლად, და ოსმალეთთან მოლაპარაკებით, ჩვენი ის ხაბი, ოომელიც ოსმალეთის ასკეოებს ეპყოათ, სომხეთის ჯაოძა დაიპოოა, ჩვენ საბუთი გვქონდა, ოომ ომი გამოგვეცხადებინა ე. ი. ომი ამ ნაბიჯით თითქმის, მათ გამოაცხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენ ასე არ ვქენით, ჩვენ მათ წინადადება მივეცით, რომ დღბიანად ეს საქმე მოგვეგვარებინა, რადგანაც ჩვენ არ გვსურდა სისხლის ღვრა გამოგვეწვია.

როდესაც მოვიდა მათი, სომხეთის წარმომადგენელის წინადადება, რომ მათ ჰსურთ მშვიდობიანად ეს საკითხი, საზღვრების საკითხი გამოარკვიონ, ჩვენ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ამ ნაბიჯს სიხარულით მივეგებეთ და როდესაც სომხის ჯარმა სახღვარი გადმოლახა და კობეური დაიპყრა, ჩვენ საბუთი გვქონდა, რომ ეს ომის გამოცხადებად მიგვეღო, მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით და ჩვენი შეიარაღებულ ძალების წარმომადგენელმა მათ წინადადება მისცა სადგური კობეური დაეცალათ და ხიდს იქით გადასულიყვნენ. ეს მათ ამხანად არ შეასრულეს.

და როდესაც სოფელი კორინჯი და ცატერნი მათ დაიპყრეს, ეს შეგვეძლო ჩაგვეთვალა ომის გამოცხადებათ, მაგრამ ჩვენ მათ წინადადება მივეცით, რომ ეს საქმე ძშვიდობიანად მოეგვარებინათ, რომ კორინჯი და ცეტერნი, რომელიც ჩვენ გვეკუთვნა, ჩვენ განკარგულებაში გვქონდა, ე. ი. გერმანიის რაზმს ექმოა, რომელიც ჩვენ განკარგულებაში იყო, ეს ადგილები მათ დაეცალათ და მოლაპარაკების შერმე საქმე გათავებულიყო.

აი დღევანდელი მდგომაოეობა ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ჯანყების მოწყობას, და ჩვენი შეიარაღებული ჯარის წინააღმდეგ ჩვენი მოქალაქენი, თუ გინდ სომხები, თუ გინდ მუსულმანები ამ ჩვენ ჯარის წინააღმდეგ ამბ ედგიდენ, სადაც ულდა იყოს, იქნება ეს ბორჩალოში, დუშეთში ან ტფილისში, ეს სულ ერთია, ჩვენ მათ მოვეპყრობით ისე, როგორც მოღალატეთ ჩვენი საბჭოების კანონების მთელი სისასტიკით. (მხურვალე ტაში).

მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კონფლიქტი ჩვენს შორის მშვიდობიანათ დასრულდება, ჩვენ ამოვწურავთ ყოველნაირ მშვიდობიან ზომებს, რაც კი მიღებული არის საერთაშორისო წესებით და უფლებით და მე ბედნიერი ვიქნები, თუ არ გავსცემ უქაზს, რომ ჩვენმა ჯარებმა ხმალი აიღონ ხელთ და მტერს შეუტიონ. მაგრამ თუ იძულებული ვიქნები, რომ ამ განკარგულებას ხელი მოვაწერო, მაშინ მაინც მე ვიტყვი, თქვენი დასტურიც იქნება, რომ ჩვენ ავასრულებთ მხოლოდ ჩვენს მოვალეობას სამშობლოს, რესპუბლიკის და რევოლიუციის წინაშე. (მქუხარე და ზანგრძლივი ტაში).

თავმჯდომარე. (სხერთ ვისრეს მთავრობის განცხადების შესახებ რამე სთქვათ? პარლამენტის წევრი **რ. არსენიძე.**

რაფდ. არსენიძე (ს. დ.) მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! როდესაც ევროპაში ზავის პირველმა სხივებმა შეანათეს აქ, ჩვენი ცა ახალი ომის ღრუბლებით ინისლება.

ყველაზედ ცუდი ის არის, როდესაც ომის ცეცხლს აჩაღებს პატარა ერი პატარა სახელმწიფო, ეს მისთვის დაღლაბელია. ეხლა მძლავრ სახელმწიფოსაც თუ შეუძლიან კიდევ ომის საშინელების ატანა, პატარასთვის ეს ბარბაროპირ მომაკვდინებელია: სულ ერთია, გამარჯვებული დარჩება იგი, თუ დამარცხებული, მისი არსებობა მაინც ბეწვზე ჰკიდია, ის ხდება იმ მისამი ძალის მსხვერპლი, რომელიც მოესწრაგებს ამ მებრძოლ მხარეში მოსლეს და მის დაპატრონებას.

მე ყოველთვის მეგონა, როდესაც შორიდან ვხედავდი პატარა სახელმწიფოების კინკლაობას, რომ აქ მოქმედობს გარეშე ხელი; შორიდან გამოწვდილი ხელი, რომელიც მარიონეტკებივით ათამაშებს ამ პატარა ერებს. ასეთ გადახედვით ვხედავდი, რომ ეს ერები მოქმედენენ ანა თავის ნება-სურვილის მიხედვით, არა თავის ხალხის ინტერესებისთვის, არამედ, როგორც გონება დაბნეულნი—ისინი ჩავარდნილი არიან მესამე ძალის ფფრო ძლიერ, ფფრო ძლავრ კლანჭებში და ამ პატარა ერთა გარეშე ძალამი სახელმწიფო, სცდილობს, რომ თავის ენერგიის დაუხარჯავად სხვებზე გამატონდის და დაიმონოს ისინი.

და მე მგონია, რომ ამ შემთხვევაშიაც არ უნდა იყოს გარეშე ხელის ფიმისობა იმ კონფლიქტში, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი ცნობა, რომელიც იყო გამოქვეყნებული, მიუთითებს ამ მესამე ელემენტზე. რომლის წყალობითაც ამ შეიძლება ომის ალი გაჩაღდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესო არის, არა იმდენად ის მესამე ხელი, არამედ ის, ვინც ამ ხელს ემორჩილება და მის სურვილს ასრულებს, რომელიც შეგნებით თუ შეუგნებლად ამ ინკასენ ეგება და სცდილობს ეს ალი ჩააქროს. ეს ალი ჩააქროს ამ ალი ეროპოს თავისი ერის და თავისი მეზობლების საკმე. აქამდისინ მაინც დემოკრატიას ქონდა გარკვეული ჭრილეანი საერთაშორისო ურთი-ერთობისა, შეიძლება ითქმა, რომ იგი არ იდგა სახელმწიფოს სათავეში, მაგრამ მას ჰქონდა თავისი გარკვეული გზა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი ის დავა, რომელიც სახელმწიფოთა შორის ჩამოვარდება. ეი ამ დიად პრინციპს ღღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის დიპლომატიაც დადგა; ყოველ შემთხვევაში, ამ გზას საერთაშორისო მოლაპარაკებით გადასწყვეტს. ის გვერდს ვერ აუხვევს ამ პრინციპს, უარს ვერ ჰყოფს მას და ძველებურად მარტო ხმალით ვეღარ გადასწყვეტს საერთაშორისო საკითხებს და სიტყვით მაინც თუ არა, საქმით იგი იძულებულია ამ პრინციპის სამართლიანობა აღიაროს და ჩვენ ვამბობთ, რომ მთავრობა, რომელიც დემოკრატიულ რეპუბლიკას განაგებს, ვალდებულია ამ პრინციპით არა თუ სიტყვიერად, არამედ საქმითაც ანგარიში გაუწიოს. ჩვენ შეგვიძლიან წმინდა სინდისით განვაცხადოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, რომელიც აღუჭურვილია საქართველოს ხალხის ნდობით არ დააკლებს ცდას, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანად ჩატარებულ იქმნას ერთის მხრივ, და მეორე მხრივ მე კიდეც მაკვირვებს ის თავდაჭერილობა, რომელსაც იჩენს ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა.

საზოგადო, ძნელია, როდესაც ერთი მხარიდან უკვე თოფი ვარდება,—თავი შეიკავო და კიდეც კონფლიქტის მშვიდობიანათ გატარებაზე იზრუნო; ძნელია, როდესაც გარიდან მოდის ვინმე და თავს გესვრის, ისე, რომ ერთი წუთით არ შეგატყობინებს. თვით დიდი იმპერიალისტები 24 საათში წინ იტყობინებიან, როდესაც ჯარს გზავნიან, მაგრამ აქ, თოიმენს მალულათ, თითქმის ყაჩაღურათ, ბნელში გვესხმიან თავს, არც იტყობინყბიან, და აი ასეთ ხანაში, ჩვენმა მთავრობამ გამოიჩინა ასეთი სულიერი სიმშვიდე, როგორიც ეკმაბრიტად მას უნდა გამოეჩინა და ჩვენმა ახალგაზრდა ჯარმა, რომელიც ეს ეს არის ჩადგა პირველ გაწვრთნაში შესაფერისი თავდაჭერილობა, დისციპლინა და სიმხნეეი გამოიჩინა. მე სხვა რამეთი ვერ ავხსნი იმ მოქმედებას, რომელიც ჩვენმა ჯარმა საზღვრებზე გამოიჩინა და მე მგონია, რომ ეს დემოკრატიული ჯარი ღირსია ამ დემოკრატიული წყობილების და დემოკრატიული რესპუბლიკისა. და ჩვენი მთავრობა უნდა ღირსი შეიქმნას ასეთი ჯარისა, ასეთი წყობილებისა.

მაგრამ ომის და ზავის საკითხი არ არის ერთ მხრიანი საკითხი. მე ვამბობ გადაჭრით, რომ თუ საქართველოს რესპუბლიკამ ყოველივე მოიმოქმედა იმისთვის, რომ მშვიდობიან გზიდან არ გადაეხვიო, მეორე მხრივ, მე გადაჭრით უნდა ვაღიარო, რომ ყველა ასეთ ზომებს კიდეე ვერ ვხედავ. როდესაც ჯარი იგზავნებოდა საქართველოს საზღვრებზე, მაშინ იქ იყო ტელეგრაფიც და ტელეფონიც, მხოლოდ მაშინ, როდესაც სამშვიდობო პასუხი არის მისაღები—ტელეგრაფიც წყდება და ტელეფონიც ფუჭდება (ტაში)

მე უნდა მოგახსენოთ, რომ თუ დღეს შეჩერდა ომი, და დღეს შეტაკებას არ აქვს ადგილი,—მე ამას ვაწერ არა მოპირდაპირე მთავრობის განზრახვას და სურვილს, ეს მიეწერება უფრო სხვა ძალების გაფლენას, რომელნიც სახელმწიფოში არსებობენ.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, როდესაც დამყარდა ცალკე სახელმწიფოები და სამ მთავრობათან დაიყო, ამ დემოკრატიას ჰქონდა სრულიათ გარკვეული ტრადიცია და მიუხედავათ იმისა, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკაში გაბატონებულია არა დემოკრატიული ელემენტი, იმ შეხედულებით, როგორც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი,—მისი გავლენა და მისი მნიშვნელობა მაინც დიდია, მაინც სასწორზე მას აქვს დიდი სიმძიმე და ჩვენ დრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სომხეთის დემოკრატიასთან ჩვენ გვაქვს ისეთივე საერთო ენა, საერთო აზრი და მიზნები, როგორც გვქონდა იმ დღეებში, მაშინ, როდესაც ჩვენ კიდეე ერთ სახელმწიფოს წარმოვადგენდით. ჩვენ იმედი გვაქვს ამ კონფლიქტის მშვიდობიანათ დამთავრებისა,—და უმთავრესად ეს ჩვენი იმედი ემყარება სწორედ დემოკრატიის გაელენაზე, და კიდეე იმაზე, რომ დემოკრატიის ხმას დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან გასაგები აქვს, ყოველ სახელმწიფოში, რომელსაც კი სურს არსებობა, ან რაიმე შემოქმედება, რაიმე საქმიანობა.

ყველა ეს ჩვენის ფიქრით არის ის მთავარი საფუძველი, რომელზედაც შეიძლება დაეყრდნოს ჩვენი მთავრობა და რომლის გამო ყველა მისი, ზავისაკენ მიმართული დემოკრატიული მოქმედება, იპოვნის თავის გამოხმაურებას და გამოძახილს საზღვრის იქითა მხარეზე. და თუ ჩვენ მოგველის ზავი, მოგველის ყოველ შემთხვევაში კონფლიქტის მშვიდობიანად გათავება მხოლოდ და მხოლოდ აი, ამ საშუალებით.

საზოგადოთ იმ მთავრობას, რომელიც ნაციონალისტურ ელემენტებით და წრეებით ხელშეძღვანელობს, არ სწევევა დემოკრატიული საშუალებით და ზომებით გადაჭრის ძნელი სადავო საკითხები. პირიქით ჩვენ ვიცით ზოგიერთაგან, თითქმის ყველგან თითონ ამ ელემენტებს ასაზრდოებს სწორედ ბრძოლის გაღვივება, ერთი შორის უთანხმოების ჩამოგდება, სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის შურის დათესვა. ეს ნაცადი ჩვეულებაა, ერთნაირი ძველი, ნაცადი ჩვეულება საკითხის გადაჭრისა, რომელიც იყო პიუროკრატიის დროს.

თუ კი გაბატონდება ნაციონალისტური მიდრეკილება—ერთნაირია მისი ბუნება და არსებობა და ერთნაირად გამოიხატება ცხოვრებაში, როდესაც თავს იჩენს შესაფერი პირობები. და ამ კონფლიქტს, რომელსაც 2 სახელმწიფოთა შორის აქვს ამ ჟამად ადგილი, ეტეკი არ აერის, თუ ორ მხრივ არა, ერთ მხრივ მაინც, ეძლევა ელფერი ეროვნული მტრობისა, ეროვნული ბრძოლისა და ეროვნული წინააღმდეგობისა ქართველ და სომხურ ერთა შორის. ჩვენ გვინდა, ხაზ გასმით ვალიართო, რომ ამ ორ ერს, ამ ორ ხალხს მასსას არც საზღვრების, არც სხვა რაიმე საკითხში სადავო ერთი მეორესთან არაფერი არა აქვს, და თუ დავა იწყობა, ეს იწყობა მეთაურთა და ხელძღვანელთა წყალობით, რომელთაც ამ მასსის ინტერესების გახრით, მითი გადუნვით და ერთი მეორეზე დატაკებით, სურთ თავისი არსებობის განმტკიცება, თავისი ბატონობის გაძლიერება.

ასეთია მდგომარეობა საერთოთ, მაგრამ ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ,—ჩვენ სრული მოსწერილი ვართ საერო მისწრაფებისა, და ყველა ამ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისა, მაგრამ აქედან არავინ არ უნდა იფიქროს, რომ რაც ხშირათ წაიკეზებს ხოლმე ნაციონალისტურ წრეებს, რომ, იქ, საცა დემოკრატია არის, არ შეიძლება იარაღით ამხედრება, რომ იქ შეხვედებით მხოლოდ მორჩილებას. დიდი სიყალბე იქნება, თუ ეს აზრი ვისმეს დაებადება თავში. დემოკრატია იცავს დემოკრატიულ წესწყობილებას ყველასაგან, ვინც უნდა დაეცეს თავს და ვინც უნდა იყოს იმ ფარაჯაში ეახვეული, რომელიც დემოკრატიას გაუშვერს თოფის ლულას,—ის შეხვდება ისეთივე მედგარ, სასტიკ ბრძოლას და წინააღმდეგობას, რომელიც ეკუთვნის ყველა თავდამსხმელს.

ჩვენ უდიდესი მომხრენი ვართ ზავისა და მშვიდობიანათ საკითხის გადაწყვეტისა, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველივე წუთს მზად უნდა ვიყვეთ, რომ საქართველო, მისი დამოუკიდებლობა და არსებობა უზრუნველყოფილი იყვეს ყოველგვარ თავდასხმიდან, ვისი მხრითაც უნდა იყოს.

ამიტომ ყოველივე მოქმედება, რომელსაც ჩვენი მთავრობა თავს იდებს, და რომელიც იქნება მიმართული ერთის მხრივ საკითხის მშვიდობიანად გადაჭრისაკენ და მეორეს მხრივ, იქნება მიმართული ჩვენი რესპუბლიკის სამხედრო ძალთა გამაგრებისა, გაძლიერებისა და გაწვრთნისაკენ,—ყველაზე მხარს დაუჭერთ ყოველივე ნაბიჯს და მთელ ჩვენს ძალღონეს დავდებთ იმ სასწორზე, რომელზედაც ეს ძალა იქნება დადებული. (ხანგრძლივი და მხურვალე ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შ. ნუკუბიძეს.

შალვა ნუკუბიძე. ბატონებო, ძალიან ძნელია იმ საკითხზე ლაპარაკი, რომელიც დღეს, საქართველოს წინაშე სდგას, რადგანაც ეს საკითხი შეეხება იმ ორ ერს, რომელთა შორის მუდამ ძმური და მეზობლური განწყობილება ყოფილა.

ვიმედოვნებდით, დიდი ხანია, რომ ასეთი განწყობილება არ დაირღვეოდა. ჩვენ არ ვაკლებდით ცდას, რომ ასეთი კეთილი ურთიერთობა, რაც შეიძლება ხანგრძლივი და მტკიცე ყოფილიყო. მაგრამ, შეიცვალა პირობები და მის შემდეგ, რაც ჩვენ მთავრობის მოხსენება მოვისმინეთ, ჩვენ არ შეგვიძიან ვთქვათ, რომ ამ ურთიერთობაში ისეთი რამ არ მომხდარიყო, რასაც შეუძლიან მომავალში შესცვალოს ასეთი კეთილი განწყობილება.

ჩვენი, ს.-ფ.. ფრაქცი, რომელმაც მისი აზრის გამოთქმა დამავალა, მუდამ საკითხს უყურებდა ამ მხრივ, და დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ამიერ-კავკასიაში შესაძლებელი იყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაჩაღება, ერთის ერისთვის ეს მოხდებოდა ახლოდ მაშინ, თუ ასეთივე მდგომარეობა შეიქმნებოდა მეორე პატარა ერის ტერრიტორიაზე. მაგრამ ეს ჩვენ არ მიგვაჩნია საკმარის პირობათ, არამედ ჩვენ ამას ვატარებდით ერთ პირობას: რომ ჩვენ, ამ ორ სახელმწიფოთა შორის სრული სოლიდარობა, სრული ერთმანეთის გაგება და სრული მეგობრობა იქნებოდა. ამ თვალსაზრისზე ვიდექით ჩვენ იმ თავად, ამ თვალსაზრისზე ვდგევართ ჩვენ დღესაც.

ჩვენ არა ერთხელ დავუტკიცეთ ჩვენ მეზობელ ერს, სომხებს, რომ, ჩვენ ქართველები, მზად ვართ მისი უმეტეს და უბედურ მდგომარეობაში მონაწილეობა მივიღოთ, რადგანაც სომხეთს ეწია გაცილებით უფრო მეტი ბედი, თუმცა არც ჩვენი მდგომარეობა იყო სანატელი, მაგრამ, ჩვენ ვიწრო ქოხში გამოვნახეთ ისეთი კუთხე, სადაც ფესვიანეული იქნნა დატოვება სომხის ლტოლვილებისა, და აქ ისინი შეეფაფრეთ. და დღეს, საქართველოს კალთებში არა ერთ ადგილას შეხვდებით სომხებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან აქ თავი შეეფაფარონ. სომხები, რომელნიც გაიძოკეულნი ათვის სამშობლოდან. აქ, საქართველოში, პოულობენ ადგილს, სადაც უზრუნველყოფილნი არიან, ყოველ შემთხვევაში სიკვდილის ხახის გაოგეშე აარიან.

ასეთი იყო მდგომარეობა დღემდის. მაგრამ, დღეს სრულიად მოულოდნელად, ეს ურთიერთობა შეიცვალა და ის საკითხი, რომელიც ჩვენ წინ წამოიჭრა, ხათელყოფს, რომ, ის ეროვ, რომელის მიმართ ქართველ ერს უდიდესი დამსახურება აქვს, რომელისთვის ქართველ ერს არა შეჰშურდა უკანასკნელი ლუკმა —ის ერი, რომლის მიმართ საქართველო ასეთ ძველის-ძველ თავაზიანობას, ძველ სტუმართმოყვარეობას იჩენდა, —ამ ერმა, ან ყოველ შემთხვევაში მის გამბატონებელმა ნაწილმა, მათ პოლიტიკოსებმა —სრულებით დაივიწყა ის ელემენტარული გრძნობა, რომელსაც მადლობის გრძნობა ეწოდება. და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ. ამ შემთხვევაში სომხის ერის პოლიტიკოსები ძალიან სახიფათო ნაბიჯს სდგამენ რომელიც შეიძლება მომავალში არ გაახარებს არც ერთ ერს ამიერ-კავკასიაში და, მათ შორის სომხის ერსაც.

სომხის ერის წინაშე აშკარად იდგა საკითხი; როდესაც აქ, ამიერ-კავკასიაში არ იყო ძალა, დამცველი აქ მოსახლე ერებისა, ამ უბედურებიდან, რომლის მაგიერობა ჩვენ მიზნათ დავისახეთ და ყოველივე ღონე მივიღეთ დაგვეცვა ის ტერიტორია, რომელიც ჩვენ საქართველოს ტერიტორიათ მიგვაჩნია, და, რომელიც აი, ამ შემთხვევაში სადაო საკითხია დღეს, და ტფილისის გუბერნიას შეადგენს ამ ნაწილების მოპატებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც უზეში ძალა მომდგარია ჩვენ წინააღმდეგ,—შეუძლებელია, აქ, ასტყდეს დავა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადიმიჯნოს ტერიტორია, და რა მიეკუთვნოს ამა თუ იმ ერს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს დღეობით ამ უმძიმეს პირობებში, თუ კი ჩვენ, ქართველები შეგვძლებთ ამ ტერიტორიის დაცვას, რომელიც ჩნენი სახე-მწიფო არის, და რომელიც ჩვენ შემოვფარგლეთ. ამ საკითხში ჩვენ არავინ არ უნდა შემოგვერიოს. და ეს საკითხი, თუ შესაძლო გახდა ამ ტერიტორიის დაცვა მოშავალში, უნდა გაგვეხადა ამ კრებაზე მსჯელობის საგნად, რადგანაც შეთანხმების ნიადაგზე ამიერ-კავკასიის საერთო საკითხი გადაწყდება.

მაგრამ, ეს ესე არ მოხდა. და ის ერი რომელმაც ვერ შესძლო ბორჩალოს მაზრა, ოსმალეთის ურდოებიდან დაეცალა, და საქმეში მონაწილეობა მიეღო, ის ერი დღეს გამოდის და იმ ძალების წინააღმდეგ იბრძვის,—რომელიც ოსმალეთის ურდოებისაგან იცავდა ბორჩალოს მაზრის ქართველებს, და მაზრაში დასახლებულ სომხებს. ასეთია მდგომარეობა, ასეთია დანაშაული ქართველ ერის, და სამართლის წინაშე. მართალია ასეთი შემთხვევაში განსაკუთრებულ მიზეზებს უნდა ეძებდეთ. განსაკუთრებულ მიზეზებს, იმიტომ, რომ არ შეიძლება, ბრალი დავსდოთ მთელ ერს, როგორც ასეთს, თუნდა ნაწილს, არამედ ჯგუფს, რომელიც არა ნაკლებ ანგარიშს უწევს თავის ერს, და უფრო გულდასმით უსმენს იმას, ვინც გარეგან უკარნახებს.

ბატონებო, ნუთუ უნდა ვიფიქროდ, რომ სომხურ ერისთვის, და მის პოლიტიკურ ორგანიზაციებისთვის, არ არის ცხადი, რომ უმთავრეს არგუმენტს, ოფიციალურ წამოაყენებენ ხოლმე ჩვენს წინ, ჩვენი მოპირდაპირენი, ისინი უმთავრესად არ ეთახმებიოდეს. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა თავის დროზე მათ შეუფლებელად მიანჩიდათ. არ სწამდათ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივობის აღორძინებაა. ისინი მთავარ საბუთად სთვლიდნენ იმას, რომ—როგორც კი ჩვენ აქედან წავალთ, თქვენ ვერ შეესლებთ, კეთილ, მეზობლურ ცხოვრებასო. ჩვენ ვიყავთ აქ წესიერების დამცველნი, და თუ აქედან წავალთ,—თქვენ ერთმანეთში სასტიკ ომოლს, და სისხლის ღვრას ასტეხავთო. არა ერთს ჩვენგანს, ვინც რუფეთში ყოფილა, ძოუსმენია ასეთი არგუმენტი. და მე ვფიქრობ, რომ ეკვი დაინადებაა: ვი თუ დღეს კარგათ არის საქმე ამიერ-კავკასიაში, მაგრამ, პიროობეკი თუ შეიცვლება, ვი თუ ის, რაც არგუმენტად მიაჩნია მოპირდაპირეს, ვი თუ ცართლა, ოფიციურ არგუმენტად, რეალურ—მდგომარეობათ გადიქცეს. და ჩვენ გაცდილნართ უკანასკნელ დროოდე, და იმედს არ ვკარგავ-დით, რომ ერთად-ერთი არგუმენტი ჩვენი ძოპირდაპირის ხელში რომელიც ყაოოყენებული იყო ეკვე წინააღმდეგ,—დღევანდელი ცხოვრებით გამთიელებული და გაუქმებული ყოფილიყო.

ჩვენ თავზე გადაიარა ისეთმა დიდმა ქარტეხილმა, რომ, როდესაც უკვე სხვა ძალა შეგეიქმა ჩვენ ტერიტორიაზე, რადგანაც მთელი რიგი პირობებისა იყო ხელშეწყობი, რომ უსათუოდ სისხლის ღვრა ატეხილიყო, რომ ისეთმა ძალებმა ვერ ინოქედეს, ასეთი ძალები ამ ბოლო ხანას შეჩერებული და გაუქმებულიყო. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მოიცავლიც ასეთი იქნებოდა, მაგრამ დღეს კი, ამ შეეთხვევაში, როდესაც უკვე დაიწყო სისხლის ღვრა—ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ის მტერი, რომელიც ჩვენ გვყავნდდა, გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის, რომელიც დღეს გვყავს. მაგრამ, ერთი გასამართლებელი საბუთი დაგვრჩენია, რომელიც ამ არგუმენტს გაამარილებს, რომ რესპუბლიკას, ქართველ ერს და დემოკრატიას, არავითარი მონაწილეობა, არავითარი წვლილი არ მიუძღვის ამ საქმეში. არსებითად რომ გავარჩიოთ, ასეთი უპასუხის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგებელო გამოსვლა და ვიფიქროთ, რომ მას საუძველად უდეს ერთი მოსაზრება უეჭველად გულისხმობს—შენს ისეთი მდგომარეობა მომავალ კონფერენციისთვის, რომელიც თითქოს ხელსაყრელი იქნება სომხის ერისთვის. არც შეიძლება ვიფიქროდ, რომ სომხები ჩვენნაირ ბოლოს თვალ-ყურს ადევნებენ საერთაშორისო პოლიტიკას. იმათ ჩვენზე არა ნაკლებათ იციან, რომ, ომის ლიკვიდაციის პროცესში, იმათ, ვინც ვერ შესძლებს ომის სიცხოველის დროს თავის ძალის გამოჩენას, შეიძლება მოისურვონ დღეს, კონფერენციის წინ, ისეთი ნაბიჯი გადადგან, რომელმაც, შეიძლება, შესცვალოს ძალთა ურთიერთობა და მომავალ კონფერენციაზე შექმნან სომხის ერისთვის ხელსაყრელი პირობები. რადგანაც სხვა არავითარი საბუთები არ მოიპოვება, ხმოლოდ ამისთვის არის გამოწვეული ეს ამბები, რომ კონფერენციის წინ იყოს შექმნილი status ahte კონფერენცია, რომელზედაც იმედოვნებენ, რომ ანგარიშს გიუწევს ამ სომხის ერის status guol-ს

და ვფიქრობთ, რომ ამ კონფერენციაზე დამცველებიც აღმოჩნდებიან. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძალიან საბჭდისწერო ნაბიჯია სომხის პოლიტიკოსებისაგან გადადგმული. მაგრამ მარტო თეორიული ფიქრი ომის შესახებ, რომ შეიძლება status guo მომავალ კონფერენციის წინ, კიდევ არაფერს არა ნიშნავს. შეიძლება ითქვას, რომ ის status guo მომავალ კონფერენციაზე შეიცვალოს, მაგრამ ეს კიდევ დიდი საკითხია—ვის სასარგებლოდ, შეიცვლება ეს status guo, რადგანაც დიდი საკითხია თუ, რამდენად უზრუნველყოფს ერთ მხარეს თუ ის გაიმარჯვებს, ის ნაბიჯი, რომელიც სომხის ერს გადაუდგამს. ადვილად შესაძლებელია, რომ ვერ გამართლდეს, ადვილად შესაძლებელია არ გამართლდეს ის იმედები, რომლებსაც ამ გამოსვლაზე ამყარებენ სომხის პოლიტიკოსები. და საეთნალური ბრძოლა ბორჩალოს მაზრის საზღვრებში status quo-მ სულ სხვაგან გადაქნის ბრძოლის ბაზს, და მომავალი კონფერენცია დადგება სულ სხვა ძალთა განწყობილების წინაშე, ყოველ შემთხვევაში, თუ ძველი მეგობრული ურთიერთობა ჩვენ შორის უნდა საბოლოოდ დარღვეულად ჩაითვალოს, თუ არ მოიპოვება ენა ერთმანეთის გაგებისა, ენა, რომლითაც, ჩვენ ყარსელში სომხის ერს ველაპარაკებოდით, თუ შეუძლებლად გახდა კომფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრა, ყოველივე საშუალება, რომელიც მოეპოვება ჩვენს მთავრობას და ის ნაბიჯები, რომელიც მან გადადგა საბოლოოდ უნაყოფოდ დარჩა,—მაშინ სომხის პოლიტიკოსებმა უნდა იცოდენ, რომ ამ დარბაზში, ან ქართველების უმაღლეს დარბაზში არ მოიპოვება ისეთი ჯგუფი, რომელიც ამ საბედისწერო და მნიშვნელოვან მომენტში ვერ შესძლებს, და თავის ბუნებაში ვერ გამონახავს სათანადო ვეკაცობას, რომელიც საჭირო იქნება გადასცეს ამ დარბაზის გარშემო ძდგარ ქართველი ერის ცოცხალ ძალებს.

და დაჭკვეს ეამი, აუცილებლად ამ საკითხის იარაღით გადაწყვეტისა. თუ არ გადაჭრა მშვიდობიან გზით, დასმეტა საკითხი, ჩვენი ურთხერთობის მხოლოდ იარაღით გადაწყვეტისა,—მაშინ უნდა ითქვას გადაწყვეტით და ეს სომხის პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ აქ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი არ გამოითქმება და მთელი ქართველი ერი გაჭყვება ჩვენ მთავრობას, რომელსაც ამ შემთხვევაში ის სრულ ნდობას უცხადებს (ტაში).

იოსეფ გობეჩია (ს. რ.). მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! 4 წელიწადზე მეტია, რაც კაცობრიობა ტრიალებს საშინელ განმანადგურებელ ომის ქარცეცხლში. დღიდან ომის დაწყებისა იმპერიალისტების ლიდერები და სხვა და სხვა პირები ფიქრობენ, რომ ძალა აქარწყლებს უფლებას და ფორმალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის მარადღდება ასეთი შეხედულება. შესწყდა ინტერნაციონალის მოქმედება—დიდებული, საერთო უფლების დამცველი ძალა, მაგრამ თუ ეს ფორმალურად ასეა—ასრსებითად საერთაშორისო დემოკრატიას არ სძინავდა და ის მუდამ ფიქრობდა, რომ დაჭკრავს ჟამი და საერთაშორისო დემოკრატიის იდეალები გაიმარჯვებენ. დღეს, თუ ჩვენ გადავხედავთ მსოფლიოს,—ამის დამამტკიცებელი საბუთები ბევრი გვაქვს. გარდა ამისა, თუ ჩვენ გადავხედავთ იმ ოფიციალურ გამოსვლებს და სხვა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტების ლიდერების და ბურჟუაზიულ მთავრობების წარმომადგენელთა სიტყვებს—ინგლისში ედუარდ გრეის და ლოიდ ჯორჯის, საფრანგეთში ვივიანის და სხვათ, ესენი მოუხედავათ იმისა, რომ გამსჭვალულნი იყვნენ იმპერიალისტური ზრახვებით, მაინც ოფიციალურ სიტყვებში ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ომში ვერეფვით მხოლოდ იმიტომ, რომ ლახვარი დავცეთ ოსმამთლობას, და ძალ მომრეობას რომ ჩვენ ვესარჩლებით პატარა ერებს, რომელთა დაცვას დღეს იმპერიალისტური სახელმწიფოები არ სცდილობენ და რომელთნი უფლება არის შელახულია, ჩვენ მივიღეთ იმ ზავისკენ, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო დიდი ერების, და დიდი სახელმწიფოების, არამედ. პატარა ერების განვითარებასო. ამ მოსაზრებით, თითქოს ოფიციალური ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, მაგალითად ვილსონმა, შეიმუშავა ეგრედ წოდებული ხალხთა ლიგის იდეა და დაისახა პრინციპათ საერთაშორისო კონფერენციის, მოწვევა რომელმაც უნდა დააგვირგვინოს ეს ომი.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ მოახლოვდა ის დრო, როდესაც ომი დაწყებული სხვა და სხვა სახელმწიფოთა იმპერიალისტების მიერ, უნდა გათავდეს და ეს ზავი უნდა შეკრას იმან, ვინც არ არის ომის მომხრე, ვინც მუდამ იყო მომხრე ძმობისა, ერთობისა და სოლიდარობისა—საერთა შორისო დემოკრატიამ.

ამის მაჩვენებელი და ამის ნამდვილი მაგალითი ჩვენ გვაქვს: გერმანიაში დღეს კაიზერმა ადგილი დაუთმო დემოკრატიას; გადასცა მას თავისი უფლება. და ეს მოხდა იმიტომ, რომ ძალა ვერ სძლიეს უფლებას და საბოლოდ უნდა გაიმარჯოს უფლებამ.

ჩვენ გვწამს და იმედი გვაქვს, რომ როდესაც შეიკრიფება პირველი საერთაშორისო კონფერენცია, პირველი მისი აკტი იქნება დეკლარაციის გამოცხადება, სადაც იქნება აღიარებული ერთა უფლებები და ეს დეკლარაცია იქნება ჩვენის აზრით გაგრძელება და შეესება დიდი სოფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილ დეკლარაციისა მოქალაქის და ადამიანის უფლებათა შესახებ.

ეს საერთაშორისო კონფერენცია იქნება შედეგი მსოფლიო ომის შედეგი იქნება და თუ დღეს ასეთი პირობებია შექმნილი, თუ ჩვენ გვწამს, რომ ამერიკა-კავკასიის დემოკრატია განსაკუთრებით ქართული დემოკრატია არის აგანგარდათ რუსეთის რევოლიუციის და განმამტკიცებელი, რევოლიუციის მონაპოვართა მე ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის სრულიად უხერხული უნდა იყოს, ომის საკითხის ეხლა დაყენება და რაღაცა იარაღის ყოლაზენი.

ამიერ-კავკასიაში, ჩვენ გვყავს, რომ არც ერთი დემოკრატია ომს მხარს არ დაუჭერს; ჩვენ ვიცით მეორეს მხრივ, რომ თუ ამიერ-კავკასიის მოლიანობა დაირღვა, ამის მიზეზი ოსმალეთის მიერ წყლის აღღვრეკა იყო და როდესაც მუსულმანთა დემოკრატიის წარმომადგენლებმა ულალატა ჩვენს დემოკრატიას,—მაშინ ჩვენც იძულებულნი ვიყავით გამოგვეცხადებინა დამოუკიდებლობა რომლის დაცვას და განმტკიცებას დღეს ჩვენ მხარს უჭერთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დღეს პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა ისე, რომ ოსმალეთი იძულებული შეიქნა აქედან წასულიყო. ასე თუ ისე დღეს ასეთი მდგომარეობაა ჩვენში. ჩვენ ვიცთ ისეეე ამ საკითხის წინაშე, თუ როგორ უნდა შეერთდეს ამიერ-კავკასიის დემოკრატია და ამავე დროს, რასაკვირველია, ყოველივე გამოსვლა, რომელსაც ჩვენ შეგვეძლიან უწოდოთ მხოლოდ პროვოკაცია დიდი საზიანოლოა საერთაშორისო დემოკრატიისთვის და კერძოდ ჩვენთვის, არც სომხის დემოკრატია, არც თათრების, არც მით უმეტეს ქართველი დემოკრატია არ არის ომის მოტრფიალე, არ არის ომის მსურველი, რომ რაიმე სადავო კითხვა იარაღის საშუალებით გადაწყდეს. და დარწმუნებული ვართ, რომ ეს არც მოხდება.

თუ მთავრობა რაიმე ზომებს მიიღებს ამის საწინააღმდეგოდ, და მე მგონია მთავრობა ამ ზომებს მიიღებს, უპირველესად ყოვლისა დაიცავს არა მარტო საქართველოს დემოკრატიას, არამედ, სხვა მეზობელ ერთა დემოკრატიის ინტერესებსაც, ვინაიდან ერთი შემცდარი ნაბიჯი შეიძლება გახდეს ისეთ ნაპერწკლად, რომელიც დიდ ცეცხლს გააჩენს ჩვენში და რომლის ჩაქრობაც ძალიან ძნელი იქნება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენმა მთავრობამ ჩვენი დემოკრატიის სახელით უნდა აიღოს ინიციატივა თავის თავზე, რათა აქ შეიქმნას ამიერ-კავკასიის ერთგვარი საერთაშორისო კომისია, რომელიც იქნება სოციალისტურ-დემოკრატიულ პრინციპზე აგებული იმ მოსაზრებით, რომ ყველა ის საკითხები, რომელიც ეხება სხვა და სხვა მეზობელ ერების საზღვრებს შეთანხმებით იქნეს გადაწყვეტილი. დღევანდელ პირობებში ეს ჩვენ მოგვაჩნია აუცილებელ საჭიროებად. დღეს აქ არ არის ისეთი ძალა, რომელიც ამას უშლიდა ხელს და ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ მომენტით.

სოც.-რევ. ფრაქცია იმედოვნებს, რომ სხვა და სხვა ზომების გარდა, რომელნიც ჩვენ მთავრობას მიუღია გამოყენებული იქნება აგრეთვე ეს მეორე დემოკრატიულ ზომაც, რომელსაც ჩვენს აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელზედაც დღეს ეწყობიან ინანიც კი, ვინც წინეთ იარაღს მიმართავდა.

დღეს შეერთიერულ დემოკრატიას ჩვენ უნდა ვუჩვენოთ მაგალითი, თუ როგორ შეგვეძლიან განხორციელება დემოკრატიული პრინციპებისა და ამ შემთხვევაში საკონფლიქტო საკითხები უიქველად უნდა გადაწყდეს ამგვარი საერთაშორისო კომისიისა და არბიტრაჟის საშუალებით, რადგან ამას უფრო ღიდი ტ გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება დემოკრატიის თვალსაზრისით.

ივანე გომართელი (ალიონელი) მოქალაქენო! ნათქვამია,—„მგლის თავზე სახარებას კითხულობენ და ის მაინც ცხვრისკენ, თუ ტყისკენ იყურებოდაო“ (ტაში).

მართლა, უნდა მოგახსენოთ, როდესაც დღეს ამ საკითხზე ჩამოეარდა ლაპარაკი, ბევრს ჩვენგანს სწორეთ ეს ანდაზა მოაგონდა. დღევანდელი საკითხი ეს ანდაზა მართლდება.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ სომხის ერის პოლიტიკას აწარმოებს, და სომხის ერის ბედს განაგებს ძლიერი პარტია „დაშნაკცუტუნი“. ჩვენ ძალიან ბევრი საბუთები გვქონდა წინათ და ახლაც, რომ გაგვეგო როგორ გრძნობიან იყო აღტურეული, და არის აღტურეული დაშნაკცუტუნის პარტია ქართულ ერის, საქართველოს დამოუკიდებლობის და საქართველოს რესპუბლიკისადმი. დღესაც, დაშნაკცაკანებმა თავის ნამდვილი სახე დაგვანახეს, შეიძლება ბევრს თქვენგანს უკვირს ის, რაც მოხდა, მაგრამ გულწრფელად უნდა მოგახსენოთ რომ ჩემთვის აქ გასაკვირველი არაფერი არის. დაშნაკელები დღესაც მოიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნენ სწორეთ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. და ესე რომ არ მოქცეულიყვნენ ისინი თავის თავს ულალატებდნენ.

მე საზოგადოთ, მეკიბეულ-მეკიბეული ლაპარაკი, დიპლომატიური ლაპარაკი არ მეხერხება, არც ვარ დიპლომატი, და დღეს, როდესაც უადრესად გულწრფელობა არის საჭირო, მე უნდა მოგახსენოთ, შეიძლება მე ვცდებოდე,—საქართველოს უკანასკნელ დღემდინ ბევრი მტერი ჰყავდა და ჰყავს. მთა შორის უკანასკნელი ადგილი არ ეკავა დაშნაკცუტებს. თქვენ ამბობთ და მიმართავთ სომხის ერს, სომხის დემოკრატიის გონიერებას. მე ყოველთვის ვიყავი „არწმუნებული და ვარ კიდეც, რომ სომხის დემოკრატიას საკმაო გონიერება აქვს, დიდი გონიერება აქვთ, მაგრამ ეა ექნათ, რომ საქმე სომხის დემოკრატიასთან კი არა გვაქვს, ჩვენ გვაქვს საქმე დაშნაკცუტუნის პარტიასთან. პოეტის სიტყვა: „ერთ ბედს ბედს ქვეშ ვართ ლაბავ, მე და შენ, წოლათ ვვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“-ო განა ეს ჩვენ და სომხის ერზე არ არის გამოკრილი? ჩვენი ერი და სომხის ერი ქართული დემოკრატია და სომსის დემოკრატია, ორივე ერთ ტაფაში იწვებოდენ, მე გეკითხებიან, ვინ უნდა ყოფილიყო ერთ ჭირში და ლხინში, თუ არ სომხები და ქართველები? ეს ასეც იქნებოდა, მეტწმენეთ. მაგრამ, ეს თუ ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ შორის ამარ ოული იყო, და არის დაშნაკცუტუნის პარტია. რომელსაც გონიერება სულ სხვა ნაირათ ესმის, ვინემ ჩვენ. წარსულს დავანებოთ თავი. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, განა თქვენ არ იცით დაშნაკელებს რა ამბავი ჰქონდათ, ან რა იწერებოდა, რათ გვეძახოდნენ ჩვენ მოღალატეებს, როცა სწერდნენ: „სომხის ერი ამ ღალატს არ დაივიწყებს, დადგება დრო და სამაგიერს გადაგიხდითო“. და ეს... (დავითხანიანი: პროვაკაცია გახლავთ), დრო დაშნაკელების ახლინ დღეს დადგა, და დაშნაკელები მოქმედობენ ისე, როგორც უნდა იმოქმედონ.

ჩვენი დაშნაკელების პარტიას წარმომადგენლებს ჩვენ პარლამენტში დიდის ამბით შეეხვედით. გულწრფელათ შეეხვედით და იმათ გულწრფელობაში, მე: პირადათ, ეჭვი არა მაქვს. იმათ წარმომადგენლებმა ისეთი სიტყვა სთქვა აქ, რომ ჩვენ ტაშის ცემით შეეხვედით; და არა თუ ტაშის ცემით, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. მაგრამ, იმ დროს, როდესაც დაშნაკელების ერთი წარმომადგენელი ისეთი საუბახო სიტყვას ამბობდა, ისის ამხანაგები, რომელნიც იქ მთავრობაში სხედან, ჩვენ ჯრის წინაალმდეგ ზარაბაზებს და ტყვიისმფრქეველებს ამზადებდენ. მე ამაზე უნდა მოგახსენოთ,—მოყვარე მტერი, მტერზე უფრო უარესია. მე მირჩევნია, რომ მტერი მტრულათ იყვეს და არა მეგობრულათ. და დაშნაკელების პარტიას კი, სამწუხაროდ, ეს სჩვენია. როდესაც გული შავი აქვს, კბილებს თეთრს გვიჩვენებს. ამგვარი პოლიტიკა დამღუპველია.

თქვენ კარგათ იცით სომხის ერს რა მოუტანა ამისთანა პოლიტიკამ. სოლიდარობა ერთთა შორის, დემოკრატიათა შორის „ვაშორის ჩამოგდება,—ეს არ შეეძლო დაშნაკელების პარტიას. ეს არ შედის ნის ბუნებაში, მაგრამ, თუ მან გადასდგა ისეთი ნაბიჯი, რომლის დაგმობა აუცილებელია, რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ ჩვენმა მთავრობამ ისეთი ნაბიჯი გადასდგას, რომ გაამართლოს ასეთი შეცდომა. ის უნდა მოიქცეს ისე, როგორც შეპფერის ჩვენს რესპუბლიკას, ქართველ ერს და ქართველ დემოკრატიის ღირსებას. ამ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავრობა სრული ნდობის ღირსია და სრული მოსაწონია ჩვენი პარლამენტის მიერ ის, რასაც ჩვენი მთავრობა გააკეთებს.

ბევრი რამე ხდება ადამიანის ცხოვრებაში, რაც ადამიანს გულსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობას აუმღერეგს მაგრამ, დემოკრატიის წარმომადგენელი მთავრობა, ის მთავრობა, რომელიც საბედნიეროთ, დღეს ქართველ ერს ყავს,—ამ გზას არასოდეს არ დაადგება.

ჩვენ უკვე მოვისმინეთ, რომ ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს, და დღეს ღებულობს, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრა თავიდან აგვაშოროს. მაგრამ, ის მაინც, მზათ უნდა იყოს, თუ ჩვენი ერის ნების, დემოკრატიის სურვილის და ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, ეს სისხლის ღვრა აუცილებელი გახდება, ჩვენი მთავრობა მზათ უნდა იყოს და ყოველ შემთხვევაში, არც ისტორიის წინაშე, არც ქართველ ერის, არც საქართველოს დემოკრატიის წინაშე, ეს მთავრობა პასუხს არ აგებს.

მაგრამ მე მაინტერესებს ერთი რამ, საქალთველოს საზღვრებში ბლომათ ცხოვრობენ სომხები. საქართველოს საზღვრებში ბლომათ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე სომხები. და მაშინ, როდესაც სომხის რესპუბლიკა და მათი მთავრობა, უბრალოთ რომ ესთქვათ, დაშნაკელების პარტია, ცდილობს საქართველოს რესპუბლიკის, საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას,—აქაური სომხები რას ფიქრობენ? მინდა ეს გავიგო (ტაში). საჭიროა რომ ეს ვიცოდეთ. (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს სპირიდონ კედიას.

სპირიდონ კედია. (ერ.-დემ.) პარლამენტის წევრნო! საქართველოს დამოუკიდებლობა ასის წლის ტანჯვით გამოვისყიდეთ და იგი წარმოიშვა მსოფლიო ომში.

დიდი ხნის ნატვრის განხორციელების პირველ დღიდანვე საქართველოს მწვერვალში ამუშავდა და ამოძრავდა ენერგია შემოქმედებისა.

საქართველოს შექმნისათვის და მის განმტკიცებისათვის ამ მწვერვალში მძიმე, მაგრამ ბეჯითი მუშაობა სწარმოებს. საქართველოს ფესვებში კი, ქართველ ხალხში იღვიძებს ძველი ტრადიცია, სისხლი და ძალა. იქაც ამ ძირშიც იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის საძირკველის განმტკიცება.

ძვირფასი საგნის შოვნა ამ ქვეყნად უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად არ ხდება და ამ დიდ განძს, საქართველოს დამოუკიდებლობას ი ი აქ, თვით საქართველოს საზღვრებში გამოუჩნდა სწორედ ძალა დამრღვევი, ძალა, რომელიც მას ემტრის იმ თავიდან და მოსვენებას არ აძლევს. მაგრამ ეს შეერთებული საქართველო, მწვერვალი და ფესვები ამ ვამაბათილებელ ძალას თრგუნავდა. და სდგებოდა საქართველო აღმოცენების და განმტკიცების გზაზე.

დღეს საქართველოს ისტორიაში უძვირფასეს მომენტად დარჩება ის, რომ ამ დიდ-საქმეზე გვშველოდა ვერმანიის ძალა. მისი დახმარებით და მეგობრული ხელის გამოწვდით შიგნით და გარეთ დავდექით მტკიცეთ და ჩვენი ძალა და სხეული თანდათან მაგრდება.

საქართველოს არც ტრადიციით, არც ძველ ისტორიით, არც დღეს, არც ერთ მის მეზობელთან არავითარი მტრული განწყობილება არ ჰქონია. ვერ დამისახელებთ ქართველ საზოგადოებას, ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, ვერც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომ ლაპარაკობდეს: გადავცდეთ ჩვენს საზღვრებს და მეზობელ ერების ერთი ნაწილი, ერთი მტკავლი მიწა დავიპყროთო. ამ შემთხვევაში მოსჩანს დიდი რეალობა და ქართველ ერის ტრადიციის ჯანსაღობა.

აი, ამ მუშაობის დროს, როდესაც არსაიდან ჩვენ არ მოველოდით არავითარ ნიფთს, აი ამ მუშაობის დროს უცბად სომხეთის თავარობამ ომი გამოგვიცხადა. მაგრამ მე ვცდები, ომი კი არ გამოგვიცხადა,—ის თავს დაგვესხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის გამოუცხადებლათ, ისე, რომ არავითარი დიპლომატიური ურთიერთობის გართულება არ ყოფილა, იგი არ შეცვლილა და ქართული საზოგადოება არც ფსიხოლოგიურათ და არც მატერიალურად არ იყო მომზადებული, არ ემზადებოდა ამ ომისთვის. შეიქმნა ასეთი მოვნეტი. სომხების ჯარებმა გადმოლახეს საზღვარი და დაიპყრეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. სომხეთის ჯარი დაეხსა არა რომელიმე ნაწილს საქართველოისას, არა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და მის საკუთრებას, არა ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციას და მის საკუთრებას, არა ფედერალისტების იდეოლოგიას და მის საკუთრებას. არა, ის დაეხსა მთელ საქართველოს, იმას, რაც ეკუთვნის მთელ ერს, რაც მთელ ერს ჰქონია მრავალ ასის წლის განმავლობაში და რაც არასოდეს არ ყოფილა სომხეთის საკუთრება, სომხეთის ისტორიული სარბიელი.

მაშ ასეთ ფაქტის წინაშე რა უნდა ვქნათ, რა უნდა ჰქნას საქართველომ, რა უნდა ჰქნას ბისმა მთავრობამ, როდესაც თავს დასხმულია მთელი საქართველო? აქ უნდა მოხდეს მთელი საქართველოს ფრონტის გაერთიანება, აქ უნდა მოხდეს დავიწყება იმისი, რაც პარტიულია და რაც ჩვენ გვქსაქავს და გვანაწილებს. ამაში ვხედავთ სამშობლოს აღმატებას და მის მომავალს. რა უნდა ჰქნას ჩვენმა მთავრობამ და როგორ მოიქცა ჩვენი მთავრობა? ამ შემთხვევაში ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ იგი ღვიძლი შვილია იმ ტრადიციისა, იმ ერისა, რომელსაც მეზობლებთან უყვარს კეთილი განწყობილება, რომელიც არავის ღალატობდა.

მაგრამ მე ვშიშობ, რომ ეს ლოიალობა ჩვენი, ეს ჩვენი თავაზი მეტის მეტი და ზეგს გადასული არ იყვეს. ჩვენს მხრივ არის უდავო ლოიალიზმი, ხოლო იმით არ გვიპასუხეს ამითვე. იმათ მხრივ არის უდავო მუხანათობა. ამიტომ მიუცილებელი საჭიროება არის, რომ მთავრობამ გაიგოს ეს გარემოება. მაშინ, როდესაც ჩვენ ასე გაუფრთხილებლივ, ასე მოუფიქრებელად თავს დაგვეხსნენ, გვაქვს თუ არა იმედი ვიფიქროთ, რომ შემდეგში ჩვენს ასეთ ლოიალობას ისინი არ გამოიყენებენ სხვანაირად და კიდევ უფრო უარეს დღეს არ დაგვაყენებენ? ამიტომ ამის გათვალისწინება საჭიროა უაღრესად. ამ მხრივ, უნდა მოგახსენოთ ის, რაც მთავრობის წარმომადგენელმა აქ სთქვა—არის ერთიანად დამაკმაყოფილებელი.

ამავე დროს ჩვენ მოგახსენებთ, რომ მიუცილებელი არის, რათა მთავრობამ შესძლოს ამ მეზობლურ ხიფათის სამუდამო ლიკვიდაცია ჩვენი ქვეყნის საარგებლოდ.

რათა მთავრობა გაუმკლავოს გარეშე ძალას საქართველოს წინააღმდეგ აზღვევებულს—მიუცილებელია, რომ მან შექმნას სახელმწიფოს შინაგანი გაძლიერება. და ეს შინაგანი ერთიანობა-მოლიანობის შექმნა არის ის ბაზა, რომლითაც, თუ დაეყრდნობა ჩვენი მთავრობა, აუცილებლად თავის ქვეყანას, თავის ხალხს ასახელებს. საჭირო არის ის, რომ თვით ქართველ ერში არავინ გრძნობდეს იმას, რომ ის ამა თუ იმ შემთხვევაში მეორისაგან განირჩეა და მას ნაკლებად ჰყავს მომვლელი. საჭირო არის მიუცილებლათ, რომ შეთანხმების ატმოსფერა, ეს შინაგანი—გაერთიანება ეროვნული შეიქმნეს. ეს შეეძლება მთავრობას, თუ მან ამ შინაგან გაძლიერების შექმნის მნიშვნელობა სავსებით წარმოიდგინა.

ამისთვის მთავრობა მუშაობს. ჩვენ გვწამს, რომ ასეთ პირობებში, როდესაც საქართველოს მშვიდობიან მოქალაქეთა ცხოვრება დაირღვა სომხეთის ძალის შემოტევით, მთავრობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, საგანგებო ზომები მთელ საქართველოში. ჩვენი ქვეყნის საზღვრები დღემდე ღია იყო. ეს საზღვრები აუცილებლად უნდა დაიკეტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში ბევრი არის სომეხი ლტოლვილი, რომელთაც საკმაოდ ლო რამდენიმე ხანია თავის ცის ქვეშ შეძლებისდაგვარად უვლის. დღეს, როდესაც სომხეთის მთავრობამ არ ინება ჩვენთან მეგობრული განწყობილება დღეს ამ დიდ ტვირთის თავიდან მოცილება დიდი შემსუბუქება იქნება ჩვენთვის. ამ მხრივ მთავრობას ჰმართებს სომეხ ლტოლვილთა საკითხი კატეგორიულად და ენერგიულად გადასჭრას.

საერთოდ სამხედრო წესების შემოღება მთელის თავის სისასტიკით უნდა იქნეს დაუყოვნებლივ განხორციელებული. მაშინ მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ჰგრძნობს, რომ მის საკუთრებას არ-თმევენ და თავს ესხმიან მთავრობას გაჰყვება.

და ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც აქ თავი მოუყრიათ და კერძოდ ეროვნულ-დემოკრატიული მომდინარეობა და პარტია, თავის ძალ ღონეს იმაზე მოახმარს, რომ მთავრობას ამ ძნელ დროში ხელი მოახმაროს, რათა გაუადვილოს ჩვენი ქვეყნის საზღვრების დაცვა და სახელოვანი გამოსვლა აქედან. (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს გრიგოლ ვეშაპელს.

გრიგოლ ვეშაპელი. (დამოუკ. ერ.-დემ.) დამოუკიდებელ ნაციონალურ პოლიტიკის მომხრე პარტია და ფრაქცია უფრო სპეკტაკულად უყურებს ჩვენს მდგომარეობას ვიდრე ეს გამოიხატა მთავრობის და უმრავლესობის ფრაქციის დეკლარაციაში.

დღეს ჩვენი მდგომარეობა საზღვარ გარედ და შიგნიდაც ძალიან მძიმე არის.

ზავის საკითხის გამოისობით მოხდარი ძალთა ცვლილება საერთაშორისო ჰორიზონტზე გადაესკვნა ჩვენ ერთ მეზობელ სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებას ჩვენს საზღვრების წინააღმდეგ სომხეთში.

რაც უნდა სიტყვა ვეძიოთ იმისათვის, რომ ცხოვრების ნამდვილი მიმდინარეობა სხვა და სხვა შაბლონიურ ტერმინებით დავფაროთ ჩვენ ნაციონალისტებს გვესმის ერთი რამ:

თუ თვით სოციალისტური პარტიები აღიარებენ, რომ სომხეთის სახელმწიფო, როგორც ჩვენი სოციალისტები ამბობენ არა დემოკრატიულ, არა ინტერნიციონალურ პოლიტიკის მაწარმოებელ ძალებს უპყრიათ ხელთ, მაშინ ჩვენ, ნაციონალისტები ვიკისრებთ მოგახსენოთ, თუ რა პოლიტიკასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში.

თუ ჩვენ შეგხედავთ სერიოზულად დღეს ამ პოლიტიკას, ეს პოლიტიკა იქნება, პოლიტიკა დიდი სომხეთისა, რომელიც არა მარტო ლორის კუთხისათვის გადასწყვეტს საქართველოსთან ბრძოლას.

აქ უფრო სხვა სამარადისო და სასიცოცხლო საგნებზე იქნება დავა და სხვა იდეალები ასაზრდოებს სომხეთის დიდ ნაციონალურ პოლიტიკას.

ჩვენ ვიცით, რომ, ავია თუ კარგია ისტორია, იგი ყოველ შემთხვევაში, შეუძლებლად ქმნის სომხეთის სახელმწიფოს მოწყობას სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ოსმალეთში. ხდება ეს პანთურქულ თუ პანთურნულ პოლიტიკის გამო, თუ თვით სომხეთის ნიციონალური პოლიტიკის მწარმოებლების ხელშეწყობით, რადგანაც მათ მაინცა და მაინც არ აკმაყოფილებთ ეგრედ დაშორებული დიდ საერთო გზებს და ზღვებს ტერიტორია.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ერთი რამ ვიცით, სახელდობრ ის, რომ ძველადგანვე კავკასიაში დაგროვილია აუარებელი მილიონები სომხის კოლონისტებისა. ამათ თუ, ვიმეორებ ოსმალეთის პოლიტიკის ან თვით სომხეთის პოლიტიკის გამოისობით, დაეკარგად პერსპექტივა ოსმალეთში სახელმწიფოებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლისა, ეხლა მათთვის ერთად ერთი საკითხი პოლიტიკური ცენტრის მოპოვების საკითხია. ჩვენ ვიცით, რომ ამ პოლიტიკურ ცენტრთან, დედა ქალაქის საკითხთან გადაბმულია მთავარი ძარღვი ქართველ და სომხურ ეროვნებისა. ეს არის ტფილისის საკითხი.

ჩვენ ვალდებულნი ვართ დღევანდელ კრებას გავაგებინოთ, რომ ჩვენ ეს პლანები ვიცით. ჩვენ ვიცით რა პოლიტიკა ასულდგმულს სომხების ომს. თუ ეს მოხდა, ვიმეორებ ეს არ იქნება პოლიტიკა ლორისა, ეს იქნება პოლიტიკა ტფილისისათვის ბრძოლისა. ეს ის პოლიტიკაა, რომელიც ცდილობს მთელი ტერიტორია ტფილისიდან დაწყებული ერევნამდის და ქვეითაც გაამთელოს ერთ სახელმწიფოდ და საქართველოს დედა ქალაქი სომხეთის დედა ქალაქად აქციოს. ჯერ ფაქტიურად და მერე ფორმალურად.

მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვალდებულნი ვართ არა მარტო ეს ვაუწყოთ ჩვენებს და უცხოელებს. ჩვენ უნდა ვაუწყოთ არა მარტო ის, თუ რა იქნება მთავარი ძარღვი ჩვენი ბრძოლისა, თუ ეს ბრძოლა ფაქტად გახდა სამწუხარო ფაქტად, არამედ ვაუწყოთ ისიც, ვისი იმედიც არის, რომ ასე ადოლად იწყობენ ან უნდათ, რომ დაიწყონ სამხედრო მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ.

ინგლისის და გერმანიის ძალთა განწყობილებას, რომ თავი დავანებოთ, ერთი მთავარი ფაქტორი არის ის, რომ დღემდის საქართველო არ ყოფილა მატარებელი ეროვნულ პოლიტიკისა მთავრობაში.

იმის გამოისობით, რომ ჩვენი მთავრობის მეთაური პარტია ინტერნაციონალისტურია და სცდილობდა ამავ გზით ეწარმოებინა საერთაშორისო პოლიტიკა, იმის გამოისობით არის ის, რომ დღემდის საქართველოს არა აქვს ჩამოყალიბებული კავშირი, პოლიტიკური კავშირი არც ერთ სახელმწიფოსთან, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს დმოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უკვე რამდენიმე თვემ განვლო.

ამავე მერყეევი სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ პოლიტიკის წყალობით არის, რომ კავკასიაში დღეს საქართველოს ყველა, ვითომც და მეზობელი ერი გადამტერებული ჰყავს.

აქამდის არ ყოფილა ანგარიში იმისი, თუ რომელი ჩვენი მეზობელი ერი უფრო ეგუბიოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. და ამიტომ დღეს ჩენ ვხედავთ ყოველმხრივ ფრონტებს და ჩვენი ზურგი კი მიტომ არსაიდან დაცული არ არის.

მაგრამ ყველაფერი ეს გარდამავალია და ისეთივე დროებითი, როგორც გარდამავალია ყველაფერი.

მხოლოდ რამოდენიმე თვე არის, რამოდენიმე თვე, რაც საქართველოს აქვს თვისი საკუთარი საგარეო პოლიტიკა. მხოლოდ 4 თვეა, რაც ეს პოლიტიკა სწარმოებს. და დიდად სცდებიან ჩვენი მეზობლები, თუ ამ 4 თვის მასშტაბით მოინდომებენ საქართველოს მომავლის ბედის გადაწყვეტას.

შეიძლება დღეს ჩვენ რაიმე გაჭირვება გვადგა, რაიმე სიძნელე არის ჩვენს მდგომარეობაში საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით. იქნება ეს დიდ იმპერიებისაგან დამოუკიდებელი, თუ ჩვენ მეზობლებისაგან, მაინც დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ამით გაიხსნას ხელი რომელიმე ჩვენმა მეზობელმა ერმა და ამით სცადოს თავისი დიდი, თავისთავად უსაფუძვლო, ისტორიულად უნახავი, გეგმების განხორციელება.

ჩვენმა მეზობელ ერებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ქართველ ხალხს, იმდენი ენერგია აქვს დაგროვილი, რომ რეაქციის პასუხის ძალა მაინც მოეპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებათ. და თუ ეს რეაქცია ეროვნულ დაცვის სახით ჩვენ მოვიპოვეთ წაშინ, როდესაც არ იყო ჩამოსასული სახელმწიფო და არც გვქონდა რაიმე სახელმწიფო ორგანიზაცია. და თუ ნატანების ფრონტზე თვით ოსმალთა ჯარმა გაიგო, რომ საქართველოს შეუძლიან იარსებოს, რადგან ქართველ ხალხს შეუძლიან ომი. ყოველ შემთხვევაში მეზობელ ერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეხლა ჩვენი მდგომარეობა მაშინდელთან შედარებით, როცა ბათომის მწარე დღეები გვადგა, — გაცილებით უკეთესია და რაც უნდა ცუდად, რაც უნდა შემცდარად მიდიოდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და რაც უნდა მერყეები იყოს ჩვენი მეთაურთა პოლიტიკა,—ჩვენ მაინც იმდენი ნაბიჯის გადადგმა მოვასწარით, რომ შეგვიძლიან ვსთქვათ: რეაქცია, რომელიც დიდ ადება საქართველოში 10 ჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ეს იყო ნატანების ფრონტზე.

ეს განსაკუთრებით უნდა იცოდნენ იმ წრის წარმომადგენლებმა, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომელზედაც აქ ლაპარაკი გვაქვს. განსაკუთრებით იმათ უნდა იცოდნენ, რომ ის ანდაზები, რომელიც აქვთ და ჰქონიათ ამ ქართველ ერის შესახებ,—ეს ანდაზები გამოსადეგი არ არის, რადგანაც ამ ხალხს, ამ სახელმწიფოს საქმე აქვს არა საქართველოს, ერთ კუთხესან არამედ მთელ საქართველოსან.

და საქართველოს დეთა ქალაქის ტფილისის და მის გარშემო ვერ გაარჩევს საქართველოს ძველ პროვინციის შვილთა სახეებს, რომელნიც შეერთებულნი და შედუღებულნი არიან ერთ საქართველოს სახელმწიფოში.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა მეტს უფრო მეტს, ანგარიშს გაუწევს. ამ საათებს, ამ დღეებს, როდესაც სწყდება საკითხი ჩვენი დამოკიდებულებისა სომხებთან.

ტრადიცია და არა, როგორც აქ ბრძანებს, სახელმწიფო, ჯერ კიდევ გამოუცდელი პოლიტიკურად, არ შესწორავს საქართველოს ერის სასიცოცხლო ინტერესებს გადამეტებულია ინტერნაციონალურ სანიტარულ პოლიტიკას, არ წავა იმაზე, რომ უფრო მეტი მსხვერპლის გადება მოგვიხდეს. ამიტომ უნდა გადავდგათ ის ნაბიჯები, რომელის გადადგმა აუცილებელია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მთავრობა მაინც უფრო აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს იმ მეზობელ ერების მიმართ, რომელთა არსებობას საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ ეწინააღმდეგება. მე მოგახსენებთ ჩვენს მეზობელ ადერბეიჯანელ ოათრებზე, მე ვამბობ ჩვენ მეზობელ მთიელ ჩაჩნებზე და დაღესტნის ხალხზე.

ვისაც საქართველოს ისტორია გადაუკითხავს იმან იცის, რომ სწორედ იმ პროვინციის მკვიდრი ერი ათასჯერ უფრო მკვიდრის, ვიდრე ისინი, ვინც პრეტენზიებს აცხადებენ ამ კუთხეზე,—ბორჩალოს თათრობა საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრების დასასრულს მე-18 საუკუნეში ქართული ჯარის ერთგულ ნაწილს წარმოადგენდა და თუმცა დღეს დროებით გარდამავალ კანონმდებლობის გამო ამ მკვიდრ ხალხს არა თუ მობილიზაცია არ ეხება, არამედ მოხალისეთაც შესვლა გამონელებული აქვთ, მაგრამ მაინც თუ მოაგონდებათ დღევანდელ თავდამსხმელებს საქართველოსთან ბრძოლა, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ჯართან ერთად ესენიც იქნებიან.

მაშინ ის, ვინც ეხლა მოსული და ძველებს ედავება თავის წინაღმდეგ დაინახავს ერთს კი არა, ორ ძალას.

მით უფრო ვიმედოვნებთ ჩვენ, რომ თვით ჩვენი ჯარის ენერგიაზე. მართალია ორგანიზაციას არა აქვს. დასრულებული არც ქვედა და არც ზედა სართულები, მაგრამ ის, რაც არის, საკმარისია და ბევრნი არიან ისეთნი, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც თავიანთ სიცხლით დაუმტკიცებენ, რომ მათ სწამთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მათ სწამთ, არა მარტო ამ სახელმწიფოსთვის ბრძოლა შინაურ ფრონტზე, არამედ ყველგან, სადაც კი მათ უბრძანებს მთავრობა. ეს ჯარი იქნება და არის საუკეთესო გარანტია იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლიან სრულის იმედით შევხედოთ ჩვენ მომავალს, იმდენად, რამდენადაც ამ დღეებში სწყდება საკითხი საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულებისა. (ტაში)

ავეტისიანი. (დაწ.) საქართველოს პარლამენტის წევრნო! ბოდიშს ვიხდი, რომ ქართულ ენაზე ვერ ვლაპარაკობ და ჩვენი ფრაქციის აზრი უნდა გამოვსთქვა მე რუსულ ენაზე. ბოდიშს ვიხდი.

Граждане, члены парламента! Наша фракція привѣтствуетъ, всѣ тѣ мѣры правительства, которые направлены къ тому чтобы возникшій конфликтъ уладить мирно, и когда мы здѣсь слышали выступленіе отвѣтственныхъ партій, наши сердца бились одинаково со вашими сердцами, со всѣми тѣми, которые так же настроены настоящій конфликтъ уладить мирнымъ путемъ.

Вамъ знакомы тѣ ноты, тоторыми обмѣнялись наши эти 2 правительства. Въ этихъ нотахъ высказали одинаковые пожеланія остановить военныя дѣйствія, при возможности отодвинуть границы столкновенія этихъ войскъ, назначитъ комиссію—арбитражъ. Всѣ возникшіе вопросы должны разрѣшены мирно, безъ пролитія крови.

Иначе не могли бы думать эти два правительства, которыя въ двухъ искусственно разграниченныхъ границахъ являются представителями этихъ двухъ демократическихъ, духовно до сихъ поръ живущихъ одинаковыми идеалами и одинаковыми цѣлями народовъ. Но т. к. мы имѣемъ правительства т. к. и на нашѣ правительство здѣсь, и также на то правительство, которые засѣдаетъ тамъ въ Эривани, темными пятнами ляжетъ то столкновеніе, которое могло имѣть мѣсто, столкновеніе котораго не было въ Россіи въ прежнее, въ царское время, а теперь должно возникнуть при теперешнихъ условіяхъ, когда эти два народа живутъ въ свободныхъ условіяхъ.

Что касается выступленія гражданина Гомартели, такъ долженъ буду воспользоваться случаемъ отвѣтитъ, и съ этой высокой каѳедры отвѣргнуть то обвиненіе, то нападеніе которое раздаются по адресу партіи дашнакцутюнъ, которыя, якобы какимъ то мстительнымъ заданіемъ напала на грузинскую республику. Я съ этой высокой трибуны, повторяю, отвергаю всѣ эти выпады противъ партіи дашнакцутюнъ. Это выступленіе естъ выступленіе группы, которая не различаетъ и до сихъ поръ еще не усвоила, что интересы армянской демократи въ теченіе 30 лѣтъ представляла партія дашнакцутюнъ. Это выступленіе естъ выступленіе группы, которая безотвѣтственна безпочвенна, которая не имѣетъ никакихъ глубокихъ корней въ своемъ народѣ и замкнулась въ самое себя.—Это то, что въ свое время въ Россіи писалось послѣ первой революціи. Это есть интелегентщина, та интелегентщина, которая вноситъ заразу въ нашу демократію (апл. со стор. дашнак.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Что касается вашего вопроса, что думаютъ армяне населяющіе границы грузинской республики, я долженъ отвѣтитъ слѣдующее: Армянская демократія думаетъ тоже самое, что сейчасъ думаетъ грузинская демократія—не проливать крови, и всѣ вопросы врзникающіе между этими двумя государствами разрѣшить мирно. Въ нашей дѣйствительности нѣтъ группы „Аліонистовъ", чтобъ я зналъ, что они думаютъ.

Націоналисты, живущіе въ Грузіи день и ночь засѣдаютъ, чтобъ всячески помочь вашему правительству, вашему правртельству здѣсь и Эриванскому правительству тамъ. Особая делегація выѣхала въ Эривань чтобъ содѣйствовсть мирному разрѣшянію возникшаго конфликта. Многіе, какъ и сказано въ нотѣ настроены мирно и одиноково желаютъ того чтобы, то что случилось на узкой полосѣ границъ 2 республикъ, границъ вашей республики, а также нашей республики (სიტყვა. ზმა: რომელი „вашей"), то обстоятельства эти нужно выяснить и также нужно выяснить относительно приказа и предъявленнаго армянской республикѣ ультиматума. Что касается შავი და თეთრი, гражданина Гомартели, то вы должны знать что партія дашнакцутюнъ въ теченіе 35 лѣтъ дѣятельности никогда не стѣснялась своихъ мыслей и дѣлъ и свои идеали выставляла открыто, а въ предѣлахъ свободной Грузинской республики тѣмъ болѣе не будетъ бояться и не постѣсняется высказывать свои пожеланія, свои принципы и стремленія. Я повторяю, что демократія армянской республики настроена и живетъ только однимъ тѣмъ чтобы никакого конфликта не было между двумя народами, тѣми народностями, которые искусственно разграничены, которые ждутъ новыхъ и новыхъ бѣдъ со стороны тѣхъ силъ, которыя надвигаются на нашу территорію:

თავმჯდომარე. შემოსული გახლავთ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ფორმული (ბიმართავს მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ.

სოც.-დემ. ფრაქციის ფორმული.

მდივანი. (კითხულობს) მოისმინა რ: მთავრობის მოხსენება საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკათა შორის მოხდარ კონფლიქტის შესახებ, საქართველოს პარლამენტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ზომები სრულიად აშკარად ჭოფს, რომ საქართველოს მთავრობას კეთილსინდისიერად სურდა და სურს ამ კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულება და სრული იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა მიიღებს ყოველ საშუალებას, რათა თავიდან ააცდინოს საქართველოს და სომხეთის ერებს საშინელი ხიფათი სისხლის ღვრისა. ამასთანავე საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ იგი მომზრეა ყოველი სადავო საკითხის მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტის, მაგრამ იგი არავის ნებას არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და ჩვენს თავისუფლებას საფრთხე მოუმზადოს.

ამიტომ პარლამენტი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ადასტურებს და გადადის მორიგ საკითხზე.

პარლამენტი ერთხმად იღებს ამ ფორმულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის წარმომადგენლის განცხადება ნეიტრალ სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

თავმჯდომარე. ვიდრე კრება დაიხურებოდეს, სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს განცხადებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკ რამიშვილი. მოქალაქენო! საქართველოს პარლამენტის წევრნო!

დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი მუდამ იბრძოდნენ, რათა ჩვენი დამოუკიდებლობა ეცნოთ უცხო სახელმწიფოებს და მით საქართველოს რესპუბლიკა გამხდარიყო თანასწორი წევრი საერთაშორისო ოჯახისა.

ჩვენ დღეს გვაქვს საშუალება აქ პარლამენტის ტრიბუნიდან გამოვაცხადოთ, რომ **შვეიცის** მთავრობამ ფაქტიურად იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა (მქუხარე ტაში. დაშნაკელების გამონაკლისით) და თანხმობა განაცხადა, რათა სტოკჰოლმში დანიშნულ იქმნეს დიპლომატიური წარმომადგენელი (ტაში).

აგრეთვე **შვეიცარიის** ელჩმა ბერლინში ჩვენს მინისტრს გადასცა შვეიცარიის პრეზიდენტის ფრიად ეგზომრული და თანაგრძნობით სავსე წერილი-ნოტა და შემდეგ აქ უკვე გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი, რაზედაც ჩვენმა მთავრობამ თავის მხრივ სრული თანხმობა განაცხადა და მადლობითი შესაფერისი ნოტა გადასცა (მხურვალე ტაში დაშნაკელები და სომხების წარმომადგენლები მონაწილეობას არ იღებენ).

დანიის მთავრობის წარმომადგენელმა აცნობა ჩვენს მინისტრს, რომ ის მზადაა ფაქტიურად იცნოს ჩვენი დამოუკიდებლობა (ტაში).

მთაბრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი შეეცადა, რათა მემორანდუმი ჩვენს დამოუკიდებლობის შესახებ გადასცეს შეთანხმების სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ეს გადაცემა მოხდა **ნორვეგიის** სატახტო ქალაქში და ამ გადაცემის დროს **ინგლისის** და **საფრანგეთის ელჩები** თანაგრძნობით შეეხდნენ ამ მემორანდუმს და ჩვენს წარმომადგენლებს აღუთქვეს, რომ მთავრობას ამ ნოტას გადასცემენ შესაფერი დასკვნით, რომ ეს ჩვენი დამოუკიდებლობა ცნობილ იქნეს მათი მთავრობების მიერ (მხურვალე ტაში. სომხები არ მონაწილეობენ).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა სხვანაირ მოპყრობას შეთანხმების სახელმწიფოთაგან არ მოელოდა, ვინაიდან ამ სახელმწიფოთა აბრის გამოხატვა იკისრა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა, რომლის ცნობილ მუხლებთა ერთ-ერთი თვალსაჩინო მუხლი ერთა თვითგამორკვევის უფლებას ეხება და ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს ერი გამოხატავს თავის უფლებას დამოუკიდებლობისადმი და გამოიჩენს რა ამ მხრივ თავის აშკარა ნების-ყოფას, შეძლებს საბოლოოდ დაადასტუროს თავისი სურვილი საერთაშორისო ოჯახის მიერ დაეს გახდება ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი (ხმები მარჯვნივ: გაუმარჯოს საქართველოს!... ეაშა! მთავრობის განცხადებას დარბაზი დიდი ოვაციით ხვდება).

თავმჯდომარე. პარლამენტის არა ჩვეულებრივ [illegible] ... გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა